სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #1

ქ. სამტრედია 04 იანვარი 2021 წელი

ერთის მხრივ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მერის **ვალერიანე ფოცხვერიას** სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. "ზანდო-2004"** (შემდგომში მომწოდებელი), წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის **გელა ზელინსკის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად **ადასტურებენ რომ არ იმყოფებიან ერთმანეთან ინტერსთა კონფლიქტში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის** პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის 2020 წლის 16 დეკემბრის #2789-37 მოხსენებითი ბარათისა და **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2020 წლის 29 დეკემბრის #38/199 წერილის (N9313/37)** და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე, მონეტარული ზღვრის დაცვით, დებენ წინამდებარე შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. " ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში _ ხელშეკრულება) _ შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, მეორე- შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" _ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", კვირა", "თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."შემსყიდველი" _ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" _ პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის გაწევას, ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. მომსახურეობა _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 18 აბონენტზე საკაბელო ტელევიზიის პაკეტით მომსახურეობა, კერძოდ:

ა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის 5 (ოთხი) აბონენტი

ბ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 13 (ცამეტი) აბონენტი

CPV კოდი 92200000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2160 (ორი ათას ასსამოცი) ლარს,** ერთ აბონენტზე ღირებულება შეადგენს თვეში **10** (ათი) ლარს, სულ თვეში 180 (ასოთხმოცი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს .

3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება განხორციელდება საგადასახადო დოკუმენტაციის ან მიღება-ჩაბარების აქტის დამოწმებიდან 10 დღის ვადაში..

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტზე ან შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციაზე შემსყიდველის ხელმოწერით დამოწმებიდან 10 დღის ვადაში
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა ან შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 გაწეული მომსახურეობა შემსყიდველის მიერ ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის ან საგადასახადო დოკუმენტაციის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.
5.2. მომწოდებელი ვალდებულია საგადასახადო დოკუმენტაცია გამოწეროს ცალკეულად მიმღებების შესაბამისად. (საკრებულო 5 აბონენტი, მერია 13 აბონენტი)
5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ან საგადასახადო დოკუმენტაციაზე ხელმომწერი უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

6. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

6.1. ხელშეკრულების მოქმდება ვრცელდება 2021 წლის 04 იანვრიდან გაწეულ მომსახურებაზე.
6.2. მომსახურეობის გაწევა უნდა განხორციელდეს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით 2021 წლის 04 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე.
ბ) რაიმე დეფექტის არსებობის შემთხვევაში აცნობოს სტუდიას, რათა მოხდეს მისი დროული გამოსწორება.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მომსახურეობის გაწევა უზრუნველყოს გამართულად და შეუფერხებლად.
ბ) უსასყიდლოდ გამოასწოროს ქსელი, თუ დადასტურდება რომ დაზიანება გამოწვეული არაა აბონენტის მიერ.
გ) სტუდია იტოვებს უფლებას პროგრამების მომატება-მოკლებაზე აბონენტთან შეთანხმების გარეშე, რადგან მოხდეს მომსახურეობის გაუმჯობესება
დ) ჩაატაროს პროფილაკტიკური სამუშაოები, რომელზეც შემსყიდველს უნდა აცნობოს 2 დღით ადრე.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი
8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების გაწეული მომსახურეობის ხარისხის კონტროლს
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი)%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა მ/შ შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად.
10.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.3 მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული სიტუაციის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული სიტუაციის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის

გადასაწყვეტად მხარეები უფლება მოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება მოქმედებს 2021 წლის 04 იანვრიდან 2022 წლის 31 მარტამდე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია **ქ. სამტრედია რესპუბლიკის ქ.#6** **საინდ/კოდი 238769025**	**შ.პ.ს. "ზანდო 2004"** **ქ. სამტრედია, რუსთაველის ქ. #21** **საინდ/კოდი 238756761** **ს.ს. თიბისი ბანკი, სამტრედიის ფილიალი, ბანკის კოდი TBCBGE22** **ანგარიშის GE81TB7536436060100001**

samtredia municipality

Digitally signed by samtredia municipality
Date: 2021.01.04 14:37:57 +04'00'